საქ. რომ. მუშ. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20,000 მან. წინაპირველი
4 „ 10,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 391 ხუთშაბათი, იანვრის 11 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური სოციალისტური სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.

ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი —10—34 ფოსტის ყუთი № 190.

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს 11 იანვარს

მზის დაბნელება

დადგმა კ. მარჯანიშვილისა

2—2

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, იანვრის 14-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

ქართული წითელ ლაშქრის ცენტრალურ კლუბში

(ყოფ. ქართულ კლუბში)

დღიური წესრიგი:

1. მოხსენება მთავარ სამმართველოს მოქმედების შესახებ.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. მთავარ სამმართველოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

თუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, განმეორებითი კრება მოხდება ერთი საათის შემდეგ, რომელიც თანახმად წესდების 73 პარაგრაფისა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

378 1—1

## ფულის ნიშნების გაერთიანება

მას შემდეგ, რაც საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი ერთმანეთს ფედერატიულად დაუკავშირდა და მთელი ამიერ-კავკასია გაერთიანდა პოლიტიკურად, მას შემდეგ რაც ამ მოძმე რესპუბლიკებს შორის ალსდგა მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიური კავშირი—ცხადია ფულის სხვა და სხვა სისტემის და ნიშნების არსებობა აღარ შეეფერებოდა საერთო ინტერესებს და საჭირო იყო მათი ლიკვიდაცია, რომ ამით ბოლო მოღებოდა ხსენებულ რესპუბლიკებს შორის ეკონომიურ ურთიერთობის ერთ დამაბრკოლებელ მიზეზს. მაგრამ ეს რეფორმა,—სამ-ოთხნაირი ფულის ნიშნების მაგიერ ერთი საყოველთაო ნიშნის შემოღება,—არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ერთის შეხედვით კაცს ეგონება. დიდი ხანია ფულის ნიშნების გაერთიანებაზედაა ლაპარაკი, მაგრამ დღემდის ეს ვერ მოხერხდა. ეხლა კი; დიდი მზადებისა და საკითხის ყოველმხრივ შესწავლა-გამოკვლევის შემდეგ, საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია. ამიერ-კავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს დეკრეტით, რომელიც იბეჭდება დღევანდელ ჩვენს გაზეთში, ამა წლის იანვრის ათიდან შეწყვეტილია ქართული, სომხური და აზერბეიჯანული ფულის ნიშნების ბეჭვდა-გამოშვება და მათ მაგივრად იბეჭდება და ხმარებაში შემოდის ამიერ კავკასიის ფულის ნიშანი. დღემდის გამოშვებულ ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანის ფულებს გამავლობა ექნება ორი თვის განმავლობაში, ე. ი. მარტის ათამდე. შემდეგ კი ისინი აღარსად მიიღებიან. ამ ორი თვის განმავლობაში კი ყველას შეუძლია გადასცვალოს ძველი ნიშნები ახალზედ. ახალ ნიშნებს ექნებათ ქართული ბონების ღირებულება. ამიტომ ქართული ბონები პირდაპირ გადაიცვლება ამიერ-კავკასიის ნიშნებზედ, ე. ი. მანეთი მანეთზედ. მაგ. ერთ მილიონ ქართულ ბონში მიიღებს მისი პატრონი ერთ მილიონის ახალ ნიშანს. სომხური ნიშნებით კი უნდა მისცენ არსებულ კურსის მიხედვით, ე. ი. ერთ მილ ახალ ფულში უნდა მისცენ 150 მილიონი სომხური ნიშნები. ასევე აზერბეიჯანში, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ”იქაური ფულით ახალი ნიშანი ეღირება ერთი მილიონი ას მილიონად.

ამ რიგად ეს საერთო რეფორმა საქართველოში თითქმის არავითარ ცვლილებას არ იწვევს: ქართული ბონის მაგიერ იარსებებს ამიერ-კავკასიის ფული ღირებულება კი ორივესი ერთია. მოსალოდნელია პირველ ხანში ახალმა ნიშნებმა ერთგვარი ცვლილება გამოიწვიოს ბაზარზედ. სპეკულიანტები შეეცდებიან ისარგებლონ შემთხვევით და ფულის კურსი დასცენ. მაგრამ ცხადია ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და არც ხანგრძლივი იქნება მერყეობა. შეიძლება აგრედვე საზოგადოების ნაწილმა შეუგნებლობით თუ გაუგებრობით ახალ ნიშნებს უნდობლობით მოეპყრას დასაწყისში, მაგრამ სინამდვილე ამათაც მალე დაარწმუნებს, რომ ფულის ახალ ნიშნებს ისეთივე ძალა და გასავალი ექნება, როგორც ძველს. ყოველივე ეს საქართველოშია მოსალოდნელი.

სომხეთში და აზერბეიჯანში კი, პირიქით, ახალი ნიშნები გამოიწვევენ საგრძნობ გაუმჯობესებას. იქ ეს მართლაც მთელი რეფორმაა; აქ კი, საქართველოში, უფრო ფულის ნიშნის სახის გამოცვლა და არა სისტემის.

როგორი იქნება ახალი, ერთიანი ნიშნების მდგომარეობა! შეინარჩუნებს ის მტკიცე კურსს და სტაბილურ მდგომარეობას, როგორც ეს ქართულ ბონებს ემჩნეოდა, თუ ისიც გაიზიარებს საბჭოთა ნიშნების საერთო ბედს და მათთან ერთად დაეცემა.

რამდენადაც შესაძლებელია ამის გათვალისწინება საერთო თეორიულ მოსაზრებების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ახალ ფულს მეტი ნდობა და მრავალი უნდა დაურჩეს, ვინემ, მაგ. ქართულ ბონს, ვინაიდან მისი საბრუნავი ტერიტორია გაცილებით უფრო დიდია, ვინემ უკანასკნელის. აქედან ლოღიკურის აუცილებლობით უნდა მივიღოთ მისი სტაბილიზაციისბ. სხვა დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, თუ ისეთი რამ მოულოდნელი მოხდა, რაც ამიერკავკასიის ფულის ნიშნებს დასცემს, აშკარაა მას ვერც ქართული ბონები გაუძლებდა. ასე რომ საქართველოს თვალსაზრისით ახალი ფულის ნიშნების შემოღება არაა საზარალო. ”ეზობლებს კი დიდ სარგებლობას მოუტანს. ეს, ასე ვსთქვათ, თავის სამრეკლოდან რომ შევხედოთ საქმეს. საერთო თვალსაზრისით კი ეს რეფორმაა სავსებით მიზანშეწონილი და მისაღებია, ვინაიდან დიდად გაადვილებს ეკონომიურ ურთიერთობას, ე. ი. საქონლის და ფულის ტრიალის სამივე რესპუბლიკებს შორის. ეს თავისთავად, რა თქმა უნდა კერძოთ საქართველოსაც დიდ სარგებლობას მოუტანს და წარმატების გზაზედ დააყენებს ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებას.

## საკონტრიბუციო საკითხი

**რურის ოლქის ოკუპაცია**

**ჯარების მობილიზაცია**

**ჰანოვერი.** 10 იან. საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან ჯარის ნაწილების მობილიზაციის შესახებ რურის ოლქის მოსალოდნელ ოკუპაციის გამო.

**ჰანოვერი.** 10 იან. ესსენიდან მიღებულ ცნობებით საფრანგეთის ჯარის ნაწილები გადავიდნენ რურის ოლქისაკენ.

**ხუთშაბათს**

**ჰანოვერი.** 10 იან. „ევრი“ სწერს, რომ ხუთშაბათს დილით გენერალ დეგუტის არმია გადალახავს ნეიტრალური ზონის საზღვარს და იმ დროს როდესაც პუანკარე ავა დეპუტატთა პალატის ტრიბუნაზე, საფრანგეთის ჯარები დადგამენ თავიანთ ზარბაზნებს საოკუპაციო ადგილების საზოგადო მოედნებზე.

**„კონტროლისათვის“**

**ჰანოვერი.** 10 იან. „მატენი“ იტყობინება, რომ ესსენის წინასწარ ოკუპაციისა და ნახშირის ბაჟის მოგროვებაზე კონტროლისათვის საფრანგეთმა დანიშნა 25,000 კაცი.

**ოკუპაცია დაწყებულა.**

**ჰანოვერი.** 10 იანვარი „ალგემაინე ციატუნგი“-ს ცნობებით, საფრანგეთის რეინის განაპირა არმიაში დაიწყო სამხედრო მოქმედება. მაროკოელების კოლონა მიუახლოვდა დუნსბურგს სამშაბათს დილით საფრანგეთის შტაბში ალმოჩნდა რეუსის რაიონში. საფრანგეთის ძლიერი სამხედრო ნაწილები მძიმე არტილერიით მიემართებიან დიუსელდორფისაკენ. ჯარების გედასაყვანად ადგილი ჰქონდა კერძო ავტომობილების რეკვიზიციას.

**პუანკარეს ბრძანება.**

**ლონდონი.** 10 იან. სამშაბათს ღამით პუანკარემ უბრძანა საფრანგეთის მთავარ-სარდლობას რეინზე წინ წასწიოს საფრანგეთის ჯარები რურის დაბლობში. ალბად, ოკუპაციის პირველი რაიონები იქნება ესსენი, სადაც მოიპოვება მრავალი სამხედრო ქარხნები და ბოხუმი, სადაც მდებარეობს გერმანიის ყველაზე ძლიერი მაგნატის სტინესის მდიდარი ადგილები.

პუანკარეს ბრძანება გაცემული იყო დაუყოვნებლივ მას შემდეგ, როდესაც საკონტრიბუციო კომისიამ თავის დადგენილებით სცნო, რომ გერმანია განზრახ არ ასრულებდა ვალდებულებას ნახშირის მიწოდების შესახებ.

**ამერიკის მთავრობის აზრი.**

**ჰანოვერი.** 10 იან. ოფიციალურ ვაშინგტონის ცნობაში აღნიშნულია, რომ ამერიკის მთავრობამ პირდაპირ განუცხადა საფრანგეთს, რომ ის წინააღმდეგია საფრანგეთის მიერ რურის ოლქის ოკუპაციის, ვინიიდან ყოველგვარი წინ წაწევა რურის ოლქში გამოიწვევს მძიმე და სერიოზულ შედეგებს ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**ამერიკის მეთვალყურეთა აზრი.**

**ლონდონი.** 10 იან. ამერიკელმა არა ოფიციალურმა მეთვალყურემ განაცხადა, ინტერვიუში, რომ გერმანიის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებანი იმ ზომ უმნიშვნელო იყო, რომ შეუძლებელია გავამართლოთ საფრანგეთის მიერ განზრახული გერმანიის დასჯა, „სანქციების“ სახით.

**გაერთიანება.**

**პარიზი.** 10 იან. „ტანი“ სწერს, რომ პარიზის მოლაპარაკების ჩაშლა კიდევ უფრო განამტკიცებს მოკავშირეების „მეგობრულ შეთანხმებას“. „ტაიმსი“ ფიქრობს, რომ საფრანგეთის და ინგლისის შორის მომხდარ უთანხმოება საკონტრიბუციო საკითხში არის საუკეთესო გარანტია სხვა საკითხებში მეგობრულ თანამშრომლობისათვის.

## ლოზანას კონფერენცია

**პესიმისტურად გამოიყურებიან.**

**ლონდონი.** 9 იანვარი. ლოზანას კონფერენციის მდგომარეობას პესიმისტურად უყურებენ თუ ოსმალოები გააგრძელებენ თავის პოზიციების დაცვას—ამ კვირაში მოკავშირენი წარუდგენენ მათ თავიანთ მინიმალურ მოთხოვნილებებს და მოსთხოვენ მათ მიღებას ან საბოლაოდ უარყოფას.

**პოზიცია არ იქნება შეცვლილი.**

**ლონდონი.** 9 იანვარი. ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრებასთან თათბირის შემდეგ გასან ბეი დაბრუნდა უკან ლოზანაში: „ნიუ-იორკ“ ტრიბუნის აზრით ოსმალოები არ შეცვლიან თავიანთ პოზიციას.

**პარიზი და ლოზანა.**

**ლონდონი.** 9 იანვარი. ბარერის პარიზში გამგზავრების და მისი უკან ლოზანაში დაბრუნების შემდეგ, პარიზის წრეებში აშკარა შეიქნა, რომ ინგლის-საფრანგეთის უთანხმოებას პარიზის კონფერენციაზე არავითარი გავლენა არ ექნება ახლო-აღმოსავლეთის საქმეებზე და რომ ოსმალოები იმედ გაცრუებულნი იქნებიან თავიანთ მოლოდინში.

„ვესტმინიატურ გაზეთ“-ის თანამშრომელი ამბობს: „მე შემიძლია ხაზი გაუსვა, რომ მოკავშირეებს არას დროს არ უმუშავნიათ ასე მეგობრულად, როგორც ამ ჟამად რომის და პარიზის უკანასკნელ ინსტრუქციების თანახმად, იტალიის და საფრანგეთის დელეგატები სრულ თანხმობაში იმყოფებიან ლორდ კერზონთან.

**ხიშტების მუქარის ქვეშ.**

**ბორდო.** 9 იანვარი. ინგლისის დელეგაცია ლოზანაში კატეგორიულად უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ ინგლისის ჯარები მზად არიან მცირე ვადაში მოახდინონ სტამბოლის ევაკუაცია.

## უცხოეთი

**საფრანგეთი ემზადება**

**ბორდო.** 9 იან. „ტანის“ ცნობით საფრანგეთის კაბინეტი იხილავდა მთელ როგ ზომებს სანქციების რეჟიმის წესით, რომელიც გამოყენებული იქნება გერმანიის მიმართ.

**კომუნისტების მოწოდება.**

**ბორდო.** 9 იან. ესსენის კომუნისტებმა მიმართეს მთელ მსოფლიოს მოწოდებით, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია: „მუშებო თქვენ გემუქრება უდიდესი საფრთხე, თანამედროვე ხანა მოითხოვს მუდმივ სიფხიზლეს და ბრძოლას“.

**არა უახლოეს 15 იანვრისა.**

**ლონდონი.** 9 იან. ლონდონის ავტორიტეტიულ წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთის ჯარები დაიძრებიან ესსენის და ფრანკფურტისაკენ არა უახლოეს 15 იანვრისა „დეილი მეილის“ ცნობით. საფრანგეთის საოკუპაციო არმიის ხელმძღვანელები კელნში დარწმუნებული არიან რომ გერმანიის ხელისუფლება რურის რაიონში უსიტყვოდ შეასრულებს საფრანგეთის მოთხოვნილებებს და ხელს შეუწყობს საჭირო ზომების გატარებას.

**ინგლისის პრესის მოწოდება.**

**ლონდონი.** 9 იან. ინგლისის პრესა აღნიშნავს ინგლისის და საფრანგეთის გაზეთების მეგობრულ ტონს პარიზის კონფერენციის შემდეგ და გამოსთქვამს სურვილს, რათა მოხდეს გათიშვის ლიკვიდაცია.

გაზეთები მიუთითებენ ანტანტის არსებობის აუცილებლობაზე და აღნიშნავენ, რომ თუ შეუძლებელი შეიქნა ანტანტის ერთობის დაცვა გერმანიის საკითხში, აუცილებელია ამ ერთობის დაცვა ყველა სხვა საკითხებში. პრესა ფიქრობს, რომ ინგლისის გეგმა საბოლოოდ არ არის უარყოფილი და რომ საფუძველი, რომელზედაც ის აშენებულია კვლავ ახლო მომავალში იქნება განხილული.

**ოკუპაციის დასაწყისი.**

**ლონდონი.** 9 იან. „დეილი მეილის“ კორესპონდენტი იტყობინება კელნიდან, რომ ორშაბათს დილით კელნის გზით გავიდა პირველი მატარებელი საფრანგეთის ჯარებით რომელიც მიდიოდა რურში. ფიქრობენ, რომ ეს ჯარები იგზავნება დიუსელ-დორფში, ეს მოძრაობა წარმოადგენს სრულ სიურპრიზს, როგორც ინგლისის ისე გერმანიის ხელისუფლებისათვის.

ფიქრობენ, რომ ესსენის ოკუპაცია დაიწყება სამშაბათს, თუმცაღა კელნში საფრანგეთის წრეებს ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვებათ, იმავე კორესპონდენტის ცნობით, დიუსელდორფი არჩეულია საფრანგეთის ჯარების კონცენტრაციის ადგილად.

პარიზის ცნობით, პუანკარეს ჯერ კიდევ არ მოუწერია ხელი ბრძანებაზე რეინზე გადასვლის შესახებ.

**კარგი ძალა აქვთ**

**ნაუენი.** 9 იან. „დეილი მელის“ ცნობებით, საფრანგეთის ჯარები დაიკავებენ არა მარტო დიუსელდორფს, არამედ აგრედვე ბოხუმს და მაინის ფრანკფურტს.

**გერმანიის მთავრობის პროტესტი.**

**ბორდო.** 9 იან. სალამოს სხდომაზე, ბერლინის კაბინეტმა დაადგინა უპასუხონ საფრანგეთის მოთხოვნილებებზე პროტესტით ყველა სახელმწიფოებისადმი რომლებმაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებაზე. გერმანიის კაბინეტი პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ახალ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ და აღიარებს, რომ ისინი ამახინჯებენ საზავო ხელშეკრულების ტექსტს.

**რურის ოლქი**

**მოსკოვი.** 10 იან. „ტაიმსი“ ფიქრობს, რომ რურის ოლქის ოკუპაცია გამოიწვევს ინგლისის მიერ საფრანგეთისათვის ზურგის შექცევას. ინგლისში მოელიან მთავრობის გამოსვლას ფორმალური პროტესტით საფრანგეთის სეპარატიულ მოქმედების წინააღმდეგ და ფიქრობენ, რომ მთავრობა გაიწვევს ინგლისის ჯარებს რეინის ოლქიდან.

**ამერიკის ჩარევა**

**მოსკოვი.** 10 იან. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით, რეპარაციების საკითხში კონფერენციის მარცხის გამო მოსალოდნელია ევროპის საქმეებში ამერიკის ჩარევა. იტყობინებიან, რომ გარდინგს ამის შესახებ თათბირი ქონდა ხიუსთან და რწმუნებულ გარვეესთან.

**პარიზის თათბირის გამო.**

**მოსკოვი.** 10 იანვარი. ბრიტანიის

პრესა პარიზის თათბირის უშედეგობას რეპარაციების საკითხებში კატასტროფად სთვლის, „ვესტ მინისატიურ გაზეტ“-ი სწერს „ვერსალის ხელშეკრულების განხორციელების ყოველივე ცდა უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში იწვევდა მხოლოდ ანარქიას და არევ-დარევას თითქმის ევროპის ყველი ქვეყნებში.

— გერმანიის ოფიციალური ცნობა, ეხება რა პარიზის კონფერენციის მარცხს, მწუხარებას გამოსთქვამს რომ არ მოხერხდა სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტა და მაშასადამე გერმანიისა და მთელი ევროპის გადარჩენა ეკონომიური დაშლისაგან.

— მარკის კურსი კვლავ ეცემა: ფრანგული ფრანკი ლონდონში აგრეთვე იაფდება.

— ლონდონის ფინანსიურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ფრანკის დაცემა გამოაფხიზლებს ფრანგებს.

**იტალიის არმია**

**მოსკოვი** 10 იანვარი. იტალიის მთავრობამ დაადგინა გაადიდოს არმია 15.000 25.000 კაცამდე. და გააგრძელოს სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა 18 თვემდე.

**პოლონეთში**

**მოსკოვი** 10 იანვარი. ვარშავაში ხელისუფლების განკარგულებით გაჩხრიკეს წითელ პროფკავშირთა საბჭოს შენობა. შენობა დაბეჭდილია. პროფკავშირთა საბჭოს შენობის განადგურება არის შეტევის დასაწყისი კომუნისტების წინააღმდეგ საავადმყოფო კასაში ახალი არჩევნების გამო, რომელიც დიდ უმრავლესობას მისცემდა კომუნისტებს.

— პოლონეთის მთავრობამ სამხედრო საველე სასამართლოს მოქმედება გააგრძელა 1 მარტამდე.

— იტყობინებიან, რომ ობოლენსკიმ რწმუნების ბარათი ჩააბარა ვეიცეხოვსკის. გაზეთები იტყობინებიან, რომ ობოლენსკი მიღებულია სრულუფლებიან მინისტრის საგანგებო ელჩად.

**შოტლანდიაში**

**მოსკოვი** 10 იანვარი. შოტლანდიაში მწვავდება ბრძოლა სახლის მეპატრონეთა და ბინის დამქირავებელთა შორის, რომელთაც უარი განაცხადეს გადიდებულ ქირის მიცემაზე. სასამართლოებს გამოაქვთ ასეული განაჩენები ბინებიდან გადასახლების შესახებ, მაგრამ სახლების მეპატრონეებს ეშინიათ მოიყვანონ ეს განაჩენი სისრულეში, ბინების მქირავებელთა მუქარის გამო. გადასახლებაში მოჰყვა 20.000 მუშის ოჯახები.

**კომპარტიების წარმომადგენელთა კონფერენცია**

**მოსკოვი** 10 იანვარი. 6 იანვარს. ესსენში გაიმართა კომპარტიების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც დაესწრნენ კაშენი, მონმუსო, ნიუმოლდი, ბრანდლერი. ტალგეიერი, პროფკავშირთა ლიდერები, სხვა და სხვა რევოლიუციონურ საწარმოვო კავშირთა წარმომადგენლები, წითელ პროფინტერნის და ახალგაზრდობის კომკავშირის წარმომადგენლები.

კაშენმა განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია, მისი აზრით, აუცილებელია. დაარსდა ვერსალის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი, საფრანგეთის კომპარტიის და შრომის უნიტარულ კონფედერაციის წარმომადგენლების შემადგენლობით.

მანმუსომ განაცხადა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი ყოველივე ძალღონეს მოახმარს რურის ოლქის ოკუპაციის თავიდან აშორებას. ტალგებეიერი გერმანიის მუშათა სახელით მიესალმა საფრანგეთის მუშათა ენერგიულ პოზიციას. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ანტანტის წინააღმდეგ შეიქმნას კავშირი გერმანიასა, საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. გალახენი ინგლისის კომპარტიის სახელით შეუერთდა მოთხოვნილებას, ენერგიულ საერთაშორისო გამოსვლების შესახებ რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ.

საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობამ აკრძალა მიტინგი, რომელზედაც უნდა გამოსულიყვნენ ესენის ყრილობის მონაწილენი.

**სამხრეთ სლავიაში.**

**მოსკოვი,** 10 იანვ. სამხრეთ-სლავიაში სამუშაო დღე კერძო წარმოებებში გადიდებულია 10 საათამდე. ნაწილობრივ გაუქმებულია აგრეთვე კვირაობით დასვენება.

**რუსეთი და იაპონია.**

**მოსკოვი,** 10 იანვ. იაპონიის გაზეთი „ოსაკა მაინიჩი“ ათავსებს რა მოსკოვის კორესპონდენტის ინტერვიუს ტროცკისთან სწერს: „ტროცკი იაპონიას მილიტარისტულ სახელმწიფოდ სთვლის. ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ რუსეთში ასეთი ყალბი წარმოდგენა არსებობს იაპონიის შესახებ. ჩვენ პირველები მივესალმებით სახალინის ევაკუაციას, რომელიც შედეგად მოჰყვება ორივე ქვეყნის შორის გამართულ მეგობრულ მოლაპარაკებას.

**2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების გაერთიანების გამო**

**მოსკოვი** 10 იანვარი. გამბურგში განზრახულ კონგრესის მოწვევის გამო 2 2 ნახ. ინტერნაციონალების გაერთიანების საკითხის განსახილველად, კელნში ვანდერველდეს თავმჯდომარეობით გაიმართა კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო კომისიის კონფერენცია. კონფერენციამ გამოიმუშავა გამბურგის კონგრესზე დაშვების შემდეგი პირობები: კაპიტალიზმის თავიდან აცილება კლასთა ბრძოლის საშუალებით, პროფ-მოძრაობის გაერთიანება, რომლის წარმომადგენლათ ითვლება ამსტერდამის ინტერნაციონალი და სხვა რომელიმე ინტერნაციონალში არ ყოფნა.

**პარტიების გაერთიანება იტალიაში**

**მოსკოვი** 10 იანვარი. იტალიის სოციალისტურ პარტიების პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს კომინტერნის რეზოლიუცია სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიების გაერთიანების შესახებ და მიანდოს მოსკოვში დარჩენილ დელეგატებს გაერთიანების პრაქტიკულ პროექტის გამომუშავება. პარტიების ყველა ორგანოების მოქმედება მიმართული უნდა იყოს ერთიანი პროლეტარული ფრონტის მიღწევისაკენ პროფესიონალურ და პოლიტიკურ დარგში.

**რურის ოლქის ოკუპაციის გამო**

**მოსკოვი** 10 იანვარი. გაზ. „დეილი მეილის“ კელნის კორესპოდენტის ცნობით 8 იანვარს კელნზე გაიარა პირველმა მატარებელმა საფრანგეთის ჯარების ეშელონით. რომელიც გაიგზავნენ რურის ოლქის დასაკავებლად. ეშელონები უკვე ჩავიდნენ დიუსელდორფში

**ამერიკა რეინის ოლქში**

**მოსკოვი** 10 იანვარი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის სენატმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ამერიკის საოკუპაციო ჯარების ევაკუაციას რეინის ოლქიდან.

**ქემალის გონიერება.**

**პარიზი.** ევროპის პრესაში გავრცელებულ ცნობების გამო ოსმალეთის მიერ მუდანიის დროებით ზავით პირობების დარღვევის შესახებ ფრანკლინ ბუიონმა, რომელიც საფრანგეთის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა ქემალისტებთან, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „რაც არ უნდა სთქვან მე საჭიროთ ვსთვლი განვაცხადო, რომ იქ ჩვენ მივიღეთ ზავი, მუსტაფა ქემალის გონივრულ მოქმედების წყალობით, ქემალის რომელსაც ყოველგვარი შესაძლებლობა ქონდა განეგრძო ომი, მაგრამ უარი სთქვა ყოველგვარ სარგებლიანობაზე, რომელსაც მას სამხედრო მოქმედება მისცემდა, 2) მუდანიის მოლაპარაკების დროს ოსმალებს არ დაურღვევია არც ერთი მიღებული ვალდებულება ოსმალების ლოიალობას და კეთილ სურვილებს საკითხში არ შეიძლება საყვედური უთხრათ 150.000 ჯარის კაცი მოწინავე ხაზზე და 150.000 სალდათი რეზერვში, რომელნიც მზად იყვნენ სამხედრო მოქმედებისათვის, 40 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდენ ოსმალეთის სატახტო ქალაქიდან მოშორებით. ამ ძლევამოსილ არმიას შეპირდენ ფრაკიას საფრანგეთმა სთხოვა მას ხელი არ ეხლო სტამბოლისათვის. ის დასთანხმდა ბოლოს ინგლისელები იყვნენ ჩანაკაში და ოსმალები ისევ დასთანხმდენ არ გადაედგათ ისეთი ნაბიჯები, რაც საფრთხეს მოუმზადებდა მშვიდობიანობას.

**ზემო-სილეზიის მაღაროებში.**

**ვარშავა.** კატოვიციდან იტყობინებიან, რომ ბერლინიდან „გუტი-გაიდუცკის“ მაღაროების სამმართველოსაგან მიღებულ განკარგულების თანახმად ამ სამრეწველოებში მუშაობა შეწყვეტილია 8.000 მუშა დათხოვნილია. მუშების აღშფოთება უკიდურესია. სამრეწველოებს იცავენ პოლიციის და ჯარების გაძლიერებული რაზმები. ჩამოსული შრომის მინისტრი დაროვსკი მოლაპარაკებას აწარმოებდა სამრეწველოების ადმინისტრაციასთან, მაგრამ ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, რის გამო, საზოგადოებრივ უშიშროების მიზნით, გადაწყდა, იძულებით შეუდგენ მუშაობას, სამრეწველოების სამმართველოს განკარგულების წინააღმდეგ ამ გადაწყვეტილებამ დაამშვიდა მუშები,

**რუსეთის ხალხის დამცველები**

**ლონდონი** გაზ. „ტაიმსის“ მოწინავე წერილში ლოზანას კონფერენციის უშედეგობას და ერთ წერტილზე გაყინვას აბრალებს რუსეთის დელეგატებს რუსების ყველა გამოსვლები ლოზანაში, აცხადებს კონსერვატიული გაზეთი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რუსეთის მიზანი სრულებით [illegible] არამედ დეზორგანიზაციის შეტანა, რაც მათ საშუალებას [illegible] გაფართოვებული რევოლიუციონური პროპაგანდა. ყოველ მხრივ სჩანს, რომ ბოლშევიკებს სურთ გამოიწვიონ ახალი კრიზისი.

# რ უ ს ე თ ი

**სევასტოპოლის ნავთ-სადგურში.**

**მოსკოვი.** 10 იანვარი. სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა საბჭომ დაადგინა დააჯილდოვოს წითელი დროშის ორდენით სევასტოპოლის ნავთსადგურის მუშამოსამსახურენი 1917 წ. ჩაძირულ გემის „მარიას“ ამოსაღებად გაწეულ მუშაობისათვის.

**პოლიტიკურ განათლების კურსები.**

**მოსკოვი.** 10 იანვარი. ყველგან წითელ არმიის ნაწილებში ეწყობა პოლიტიკურ განათლების კურსები. კურსის დამთავრების ვადა 3 ნახ. თვეა.

**ამხ. კრისინის გარდაცვალება.**

**მოსკოვი.** 10 იანვარი. გარდაიცვალა „არკოსის“ დირექტორი ცენტრო-კავშირის გამგეობის წევრი კრისინი, ძველი დამსახურებული კოოპერატორი.

# ახალი ამბები

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: 22 დეკემბერს 1922 წ. სახლიდან (სემიონოვის მოედანი, სახლი ტაბილენის № 7) გაიქცა პატარა ქალი 12 წლისა. ნიშნები: თეთრი შალის ნაქსოვი გადასაცმელით თეთრი ნაქსოვი შალით. შავი ახალი ფეხსაცმელებით შავი გრძელი ჩულქებით, მარჯვენა ყური უფრო დიდი აქვს, ვიდრე მარცხენა. თმები შავი, მოკლე, შავგვრემანი. ვსთხოვთ, ვინც იცის, ან გაუგონია ამ ბავშის ვინაობა, შეგვატყობინოს ზემო ნაჩვენებ მოსამართით **ალიმ კუჩაევისას.**

— გამოვიდა **შალვა სოსლანის** (სოსელია) მინიატურების წიგნი „ტფილისი“. წიგნი ძალიან სუფთადაა გამოცემული, მოთავსებულია 16 რჩეული მინიატურა. შეიცავს 30 გვერდს და ღირს 80 ათასი მანეთი.

# პარტიაში

**ამხანაგების საყურადღებოთ:** მთავარი კომიტეტის დადგენილებით შემდეგი ამხანაგები უნდა გამოცხადდენ დღეს დილის 9 საათზედ „ტრიბუნას“ რედაქციაში: გ. მუშიშვილი, გ. გამყრელიძე, მ. სეფერთელაძე, ვ. დუშურაშვილი, ალ. თურქია, ს. კახიანი, გ. თავზარაშვილი, დ. რატიანი, ტ. ხოშტარია, გრ. ასათიანი, ს. ჭეიშვილი, ნ. გეგეშიძე, ი. ვადაჭკორია, ს. ასლანიშვილი, დუმბაძე ვ. ცაგარეიშვილი.

# ტფილისის მაზრის ალმასკომის მუშაობა განათლების სფეროში

1921 წლის დამლევს განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით მაზრის განათლების განყოფილებას მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად მიეცა 150 ულუფა, ასე რომ განყოფილება იძულებული შეიქნა მოეხდინა ჯერ დაბალ მოსამსახურეთა შტატების შემოკლება, შემდეგ კი თვით მასწავლებელთა რიცხვის შემცირებაც.

მაზრაში ითვლებოდა სულ 91 სკოლა, რომლებიც მეტად მძიმე პირობებში იყვნენ მოქცეულნი: შენობები დიდი ხნის შეუკეთებელი იყო, მასწავლებლები კი თავის დროზე ვერ ღებულობდნენ ჯამაგირს.

რომ თავი დაგვეხწია ასეთ მძიმე მდგომარეობისაგან, დანიშნული იქნა სკოლების გამოკვლევა. ადგილებზე ჩატარებული იქნა გლეხებთან მთელი რიგი საუბრებისა სკოლებისთვის დახმარების გაწევის შესახებ. ყოველივე ამების მეოხებით, შესაძლებელი შეიქნა სკოლების შეკეთება და გათბობით უზრუნველყოფა. მოვახდინეთ რამოდენიმე სკოლების გაერთიანება, სამ რაიონში ავჭალის, მანგლისის და ასურეთისაში, არსებულ სკოლებთან გახსნილი იქნა საქსოვი განყოფილებები. საერთოთ გლეხობის შემწეობით რამოდენიმე დახურულ სკოლებში კვლავ განახლდა მეცადინეობა. ამ ჟამად მაზრაში არსებობს 98 სკოლა. რომლიდანაც 39 რუსულია 39 ქართული; 10 სომხური; 7 ბერძნული; 4 გერმანული; 4 თურქული და 1 ოსური.

ალმასკომებმა დაურიგეს მოსწავლეებს 10 მილიონის სასწავლო ნივთები. დაურიგდათ; 15,556 რვეული: ქართული

# როგორ უნდა ვასაზრდოვოთ ძუძუმწოვარი ბავში

ყოველი გონიერი დედა, რომელიც გულწრფელათ ფიქრობს შესძინოს თავის ოჯახს, სამშობლოს, სახელმწიფოს სალიჯანმრთელი თაობა, განუწყვეტლივ ზრუნავს თავის ბავშის აღზრდა-საზრდოობის საქმეზე.

იგი კვებავს, ასაზრდოვებს მას დღიდან დაბადებისა დაკვირვებით, რაღაც მოწიწებით, შიშით, მეტის-მეტი სიფრთხილით; მიმართავს მეცნიერების მიერ ნათქვამ დარიგებებს, რომლებსაც სისწორით, სავსებით ასრულებს.

ასეთი დაკვირვებილი—გონივრულად ნაკვებ-ნაზარდი ბავში სულიერად და ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი წევრი გამოდის ოჯახისა და საზოგადოებისა.

ყველასათვის ცხადია—კვება-საზრდოობა და აღზრდა ძუძუს ბავშისა—ეს ხომ უმთავრესი მიზანი და წმინდა მოვალეობაა გონიერი დედისა.

ამისათვის ყოველი დედა, თავის ოჯახის სასიხარულოდ, საბედნიეროდ და თავისი სულის დასაკმაყოფილებლადაც, ყოველმხრივ ვალდებულია ადევნოს თვალი, ყური უგდოს, მოწიწებით მოეპყრას ძუძუმწოვარ ბავშის ჭმევა-საზრდოობის საქმეს და სისწორით ასრულოს მხოლოდ ნასწავლთა და მეცნიერთა მიერ დარიგებები, ცნობები და ყური არ უგდოს სოფლის ბებიებს, დედაკაცებს, უვიც მეჭორეებს, რომელთა დარიგებანი ბავშს ზიანისა და დაღუპვის მეტს არას მოუტანს.

ყოველივე ქვემოდ მოყვანილი ცნობები, ეს უკანასკნელი ცნობებია თანამედროვე ბავშთა კვებას ცოდნის მეცნიერთა და მასწავლებელთა.

მეც ვსარგებლობ მათი შრომებით და და (პროფ. ჩერნი, გოგიტიძე, შკარინი, ბერშტეინი) ვათავსებ ამ გაზეთის ფურცლებზე ამ ფრიად საჭირო ყოველ დედისათვის საინტერესო ცნობებს.

**1. კვება ბავშისა დედის ძუძუთი.**

ძველი მწერალი თეოდოსი ამბობს: „დედა ის კი არ არის ჩემი, რომელმაც მშობა, არამედ ის ვინაც ძუძუთი მზრდიდაო“. მართლაც—ამით იგი სამართლიანად ამტყუნებს ყველა იმ „დედებს“, რომელთაც არ სურთ—თავისი ძუძუთი, თავისივე ბავშის აღზრდა, არ სურთ თავი შეიწუხონ და ძიძებს—აღმზრდელებს აბარებენ, ან და უფრო ცუდ საშვალებას მიმართავენ: დღიდან დაბადებისა ძუძუმწოვარს ძროხის რძით ასაზრდოვებენ ან და უფრო სხვა რიგ ბავშის აგებულობისათვის მავნე საჭმელებს მიმართავენ ხოლმე.

ყოველ დედას, რომელსაც სიცოცხლე მიუნიჭებია თავის ბავშისათვის, უნდა ახსოვდეს წმინდა მოვალეობა—მისივე აღზრდა, საზრდოობა. დედა ვალდებულია არა მარტო შობოს, არამედ თვითვე უნდა მოუაროს და ასაზრდოოს შვილი, თავისივე ძუძუთი, მისივე რძით. მხოლოდ მაშინ აღზრდის ჯანმრთელს და სალ არსებას.

ძლიერ ხშირად დედა—ბავშს აწყებინებს ძუძუს, მაგრამ მალევე ბეზრდება, აღარ ეხალისება, აღარ სურს თავი შეიწუხოს, ავიწყდება თავისი მოვალეობა და აწყვეტინებს, რასაც აბრალის ვითომდაც რძის უქონლობას. მაგრამ ამაზე ფიქრი, შიში ზედმეტია. მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ 100 ქალში 80-ს აქვს საკმაო რძე, მხოლოდ 20-ს კი—მშობიარების რამოდენიმე ხნის შემდეგ უჩნდება რძე.

თუნდაც მშობიარების შემდეგ, პირველსავე დღეებში დედას კიდევაც რომ არ აღმოაჩნდეს ძუძუებში საკმაო რძე—ეს მაინც არ აძლევს მას უფლებას ძუძუთი ბავშს შეუწყვიტოს, რადგანაც ზოგჯერ ურძეო ძუძუც კვებით, იგი (ე. ი. ძუძუები) თითქოს ილევიძებს და რძეც მათში თანდათანობით ჩნდება, გროვდება; მხოლოდ საჭიროა ერთგვარი მოთმინება; საკმარისია, კიდევ ვიმეორებ, შეუწყვეტლივი კვება ბავშისა ურძეო ცარიელ ძუძუებითა, რომელიც ერთგვარი ვარჯიშობა იქნება ძუძუთა ჯირკვლებისა და ასეთი ვარჯიშობა კი იწვევს მათში რძეს; ძუძუები იწყებენ თავის ფუნქციებს და მისი მილები მალე ივსებიან ბავშისათვის საკმაო რძით.

თუ დედის ძუძუებში, მიუხედავად ხანგრძლივი ვარჯიშობისა წოვნისა მაინც ცოტაა რძე, ძუძუებითი კვება ბავშის მაინც შეუწყვეტელი უნდა იყოს, მხოლოდ მასთანვე ერთად გადადიან შერეულ კვებაზე (смешанное кормление) ე, ი. ბავშს ასაზრდოვებენ ჯერ დედის ძუძუთი, მერე ძროხის რძით. ამასთანავე —ძუძუებითი კვება უნდა იქნეს არა ნაკლებ სამი გზობისა დღეში, თორემ რძე ძუძუების ჯირკვლებში თანდათან იკლებს და იკარგება. რაც შეეხება ძროხის რძეს,—მას გახსნილს ე. ი. წყალნარევს აძლევენ და არამც და არამც შუმს. (თუ როგორ უნდა იქნეს ძროხის რძე გახსნილი—წყალნარევი ამაზე შემდეგ.)

შერეული ჭმევა ბავშისათვის, რა თქმა უნდა, მავნეა და ნაკლები სარგებლობა მოაქვს, ვიდრე წმინდა დედის რძით კვებას, მაგრამ წაადრევ ძუძუს შეწყვეტას მაინც სჯობია.

ძალაუნებურათ შერეულ კვებას მაშინაც მიმართავენ,—როცა დედა იძულებული გამხდარა ბრძოლა არსებობისათვის, ლუკმა-პურის შოვის გულისათვის, ბევრი დრო სახლგარეთ გაატაროს.

თუ ვინიცობაა, მშობიარობის შემდეგ, მიუხედავათ ყოველგვარ მიღებულ რძის გამომწვევ ზომებისა, დედის ძუძუებში წვეთი რძეც არ აღმოჩნდა, ამ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, დედას არ შეუძლია თავის რძით კვება ბავშისა.

თუ დედა ჭლექითაა ავათმყოფი ან სიფილისით, ბავში კი ჯანმრთელია, დედას არც მაშინ აქვს უფლება ძუძუთ კვებისა, რომ ეს გადამდები სენი მასაც არ დამართოს.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშის კვების დროს დედა ხელმეორედ დაორსულდა, მაშინ 2—3 თვის განმავლობაში მას შეუძლია განაგრძოს კვება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით მათ, ე. ი. მას ან ბავშს, არ აწყენს, არ აზიანებს, არ ავნებს. შემდეგ ამისა კი დედამ აუცილებლივ უნდა გააშვებინოს ძუძუ,—რადგანაც ცუდათ იმოქმედებს ორთავეზე.

დანარჩენ სხვა შემთხვევებში დედას არა აქვს უფლება უარი სთქვას თავის წმინდა მოვალეობაზე ბავშის წინაშე და ვალდებულია კვებოს, ასაზრდოვოთ იგი თავის ძუძუთი.

მაგრამ მარტო ერთი სურვილი დედისა ბავშის აღზრდაზე საკმარისი არ არის საჭიროა კიდევ ცოდნა, თუ როგორ უნდა ბავშის კვება.

სანამ ჯერ კიდევ ბავში დაიბადებოდეს, მეხუთე თვის ორსულობიდან, მომავალი დედა ვალდებულია წყლით ან წყალნარევ არაყით დასოვლებულ ტილოს ნაჭერით ძუძუების წმენდა და მისი დაბანა. ასეთი მოვლით ძუძუების კანი თანდათან მაგრდება და უკვე ბავშის ძუძუს ჭმევის დროს აღარ დასკდება. დამსკდარი აქერტლილი მოუვლელობით კანი ძუძუებისა—დედას ძლიერ აწუხებს, სტკივა და შეუძლებლათ ხდის მას განაგრძოს კვება ბავშისა. ძუძუთა წმენდა-ბანვის გარდა საჭიროა ყოველ დღე ორჯელ სამჯერ მათივე ზელვა-გამოწევა, რითაც იგინი დაგრძელდებიან და ბავშისათვის კარგი პირმოსაკიდებელი იქნება.

ორსულობიდან მორჩენის შემდეგ დედას, რომელსაც სურს იქონიოს კარგი და მასთანვე საკმაო რძე, კარგად უნდა იკვებებოდეს, სჭამდეს ბევრს და მასთანავე ისეთ საჭმელებს, რომელიც მას სურდეს, მოსწონდეს და მასთანავე კარგი ხარისხისა იყოს.

რაც შეეხება ღვინოს და სხვა გვარ სპირტოვან სასმელებს—მათი სმა, მიღება შეუძლებელია, აკრძალულია, ვინაიდან იგინი გადადიან რძეში და ბავშზე ცუდათ იმოქმედებენ. გარდა ამისა, რაც შეიძლება დედა განთავისუფლებული უნდა იყოს ყოველგვარ ძნელი მუშაობისაგან, რომელიც დაჰქანცავს, დაღალავს მას—ამით კი რძე ეკარგება.

ამ მოკლე დარიგების შემდეგ გადავიდეთ ეხლა თვით ბავშვის კვება-ჭმევაზე.

პირველ ყოვლისა—საჭიროა ვიცოდეთ თუ როდის უნდა მივცეთ ახლად დაბადებულს ძუძუ, როდის დავაწყებინოთ წოვნა?

ჩვეულებრივად დაბადების შემდეგ ბავშვს დაბანენ, რის შემდეგაც 8—10 საათის განმავლობაში და ზოგჯერ მეტსაც სძინავს, ამ ხნის განმავლობაში კი ისვენებს მშობიარებით შეწუხებული დედაც. მხოლოდ პირველ დღის შემდეგ—ბავშვის გამოღვიძებისა აწყებინებენ მას წოვას, რისთვისაც პირში აძლევენ ძუძუს და აჩვევენ მას წოვნას.

თუმცა, მართალია, ამ დროს დედას ჯერ კიდევ არა აქვს რძე, მხოლოდ აქვს რძის დაგვარი. ეგრედწოდებული პირველყოფილი რძე (молозиво), რომლის მიღების შემდეგ ბავშვი ზედმეტად ისვრება, ემართება ფაღარათი. ეს მოვლენა ბავშვისათვის ცუდი არ არის და მასზე შიში-ფიქრიც ზედმეტია, პირიქით—სასარგებლოა, მით რომ მის შემწეობით ბავშვი მუცელში იხსნება, იწმინდება, პირველყოფილ შავ-მწვანე განავალისაგან რომელიც დაგროვილი იყო ნაწლევებში მის დაბადებამდე ე. ი. დედის საშოვი ყოფის დროს.

მაშ ასე—პირველი დღე ბავშვი რჩება უჭმელი უნდა სძინავდეს და მეორე დღეს კი აწყებინებენ აჩვევენ ძუძუს წოვას.

**ექ. ვლად. გაჩეჩილაძე.**

(გაგრძელება იქნება)

წიგნი 7,776; რუსული ანბანი 655; და სომხური 120.

წყნეთში არსებობს ბავშვთა სახლი, რომელშიდაც მოთავსებულია 30 ბავშვი. ამ მხრით დიდი დახმარება გაგვიწია განათლების სახ. კომისარიატმა, რომელმაც მოგვცა სუბსიდიის სახით 70 მილ. მანეთი და ტანთსაცმელი. პირველი დეკემბრიდან შევუდექით მეორე ბავშთა სახლის გახსნას მცხეთაში 50 ბავშთათვის.

# მოკლე მიმოხილვა

## ქალაქის აღმასკომის მუშაობის 1922 წ. და პერსპექტივები 1923 წლისთვის.

ტრამვაის მუშაობა ვაგონ—დღეებში ამ 9 თვის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში: იანვარში იყო სულ 836 ვაგონ—დღეები,(824მოტორი,12 მიბმული ვაგონი) თებერვალში 672, მარტში 794, აპრილში 914 (900 მოტორ. 14 დამატ. ვაგონი) ივნისში 978 (845 მოტორი 133 დამატ. ივლისში 1012) 824 მოტორ. ვაგ. (აგვისტოში 1750) 837 მოტორ. 313 მობმული ვაგ. (სექტემბერში 1101) 808 მოტორ. 293 მობმ. ვაგონი. ოქტომბერში 1197. მოტორ. 873, დამატებითი ვაგონი 824,ნოემბერში 1223 მოტორ. 870, დამატებითი 353.

ამ რიგად ვაგონების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, ნოემბერში კი გამოშვებულია 46,3 პროც.-ით მეტი ვიდრე იანვარში.

ტრამვაის საერთო შემოსავალი ამ 11 თვის განმავლობაში უდრის 74.723.885 მანეთს, ხოლო გასავალი 59 906 834 მანეთს.

შემოსავლის და გასავლის გადიდება გამოიხატება შემდეგ შეფარდებით (იანვარს ვითებთ 100 პრც.-ით).

| | შემოსავალი: | გასავალი: |
|---|---|---|
| იანვარი | 100 | 100 |
| თებერვალი | 159,8 | 208 |
| მარტი | 170,1 | 340,7 |
| აპრილი | 196,1 | 350,7 |
| მაისი | 356,1 | 649,5 |
| ივნისი | 265,3 | 1059,4 |
| ივლისი | 269,5 | 654,9 |
| აგვისტო | 266,5 | 468,3 |
| სექტემბერი | 282,3 | 712,8 |
| ოქტომბერი | 334,1 | 1092,8 |
| ნოემბერი | 422,3 | 811,7 |

ამ რიგად იანვართან შედარებით ნოემბერში გადიდებულია შემოსავალი 322,3 პროც.-ით, გასავალი 711,70 პროც.-ით.

შტატის შესანახავათ 11 თვის განმავლობაში დახარჯულია—28 458 352 მან. ეს შეადგენს 38,2 პროც.-ს მთელ შემოსავლის ან ტრამვაის მთელ გასავლის ბიუჯეტის 47,6 პროც.-ს.

### ბ) წყალსადენი.

წყალსადენის მოქმედება ამ ხნის განმავლობაში შემდეგში გამოიხატება, ავჭალის წყალსადენის წყლის დებეტი 11 თვის განმავლობაში უდრის 410 858348 ვედრას საშუალოდ თვეში, ან 37350759 ვედრას, ანუ დებეტის 56 პროც. 37350759 ვედრა წყალში იანგარიშება 20936999 ვედრა დღეში იანგარიშება საშუალოდ მხოლოდ 16410760 ვედრა წყალი. აქედან უნდა გამოვაკლოთ 7635000 ვედრო, რომელსაც ხარჯავს თვით წყალსადენი და უფასოდ წყლის მსარგებელნი. ამ რიგად თვეში საშუალოდ არ იანგარიშება 8778760 ვედრო. რაც შეადგენს 23, 2 პროცენტს. წყლის დაქცევა აიხსნება. უმთავრესად, წყალსადენის შეუკეთებლობით.

### გ) ქალაქის სასაკლაო.

ამ 11 თვის განმავლობაში სასაკლაოზე მოდენილია:

მსხვილ ფეხა საქონელი:

| თვეები | პირუტყვის რიცხ. | შეფარდებ. პროც. |
|---|---|---|
| იანვარი | 4,112 | 100 |
| თებერვალი | 2,170 | 54,1 |
| მარტი | 2,283 | 56,9 |
| აპრილი | 1,785 | 44,5 |
| მაისი | 2,306 | 57,5 |
| ივნისი | 2,587 | 64,5 |
| ივლისი | 2,978 | 74,2 |
| აგვისტო | 3,381 | 84,3 |
| სექტემბერი | 4,823 | 120,2 |
| ოქტომბერი | 5,808 | 144,8 |
| ნოემბერი | 7,205 | 179,6 |

ს უ ლ 39,338

თებერვლიდან დაწყებული ვიდრე აგვისტომდე მოდენილი პირუტყვის რაოდენობა მცირდება, რაც სრულიად ჩვეულებრივია (გაზაფხულზე და ზაფხულზე) სექტემბერში მოდენა თან-დათან მატულობს და ნოემბერში მოდენილი საქონლის რაოდენობა იანვარში მოდენილს 79, 6 პროცენტით აღემატება.

### წვრილ-ფეხა საქონელი.

| თვეები | პირუტყვის რიცხ. | შეფარდებ. პროც. |
|---|---|---|
| იანვარი | 4,079 | 100 |
| თებერვალი | 1,513 | 37,1 |
| მარტი | 2,089 | 51,2 |
| აპრილი | 2,959 | 72,5 |
| მაისი | 6,248 | 183,2 |
| ივნისი | 7,000 | 171,6 |
| ივლისი | 7,136 | 174,9 |
| აგვისტო | 7,256 | 177,9 |
| სექტემბერი | 10,045 | 246,3 |
| ოქტომბერი | 12,270 | 300,8 |
| ნოემბერი | 10,487 | 257,1 |

ს უ ლ 71,082

ამ რიგად მაისიდან დაწყებული წვრილ ფეხა საქონლის მოდენა ძლიერ მატულობს და ოქტომბერში და ნოემბერში სამჯერ მეტია მოდენილი, ვიდრე იანვარში.

ამ ხნის განმავლობაში მოდენილია 3,084 ღორი.

სულ მოდენილია სხვილ და წვრილ ფეხა საქონელი და ღორები 113, 504 თავი აქედან სასაკლაოზე დაკლულია 87, 732 თავი, ამათში მსხვილ ფეხა საქონელი 23, 814, წვრილფეხა 61, 001, ღორები 2,917 ე. ი. საერთოდ დაკლულია 77,3 პროც. მთელი მოდენილ რაოდენობისა, რაიც აუცილებლად უნდა ჩაითვალოს სასაკლოის დადებითი მოქმედების შედეგათ.

მთელი დაკლული საქონლის წონა უდრიდა 278,431 ფუთს, აქედან ამ 11 თვის განმავლობაში ქალ. მცხოვრებთა თითო სულზე სასაკლაოდან საშუალოდ მოდიოდა 1,2 ფუთი ხორცი, რომ არ ვიანგარიშოთ რკინის გზით ჩამოტანილი ხორცი და დაკლული საქონელი.

შემოსავალი

| თვეები | შემოსავ. ათას. მანეთ. | შეფ. პროც. |
|---|---|---|
| იანვარი | 437,430 | 100 |
| თებერვალი | 699,904 | 160 |
| მარტი | 152,630 | 240,6 |
| აპრილი | 606,315 | 138,6 |
| მაისი | 791,018 | 180,8 |
| ივნისი | 1123,678 | 256,2 |
| ივლისი | 1506,978 | 345,2 |
| აგვისტო | 1545,096 | 353,2 |
| სექტემბ. | 1629,645 | 372,5 |
| ოქტომბ. | 2720,738 | 622,0 |
| ნოემბერი | 2633,320 | 602,0 |

სულ . . 14,749,702

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ სასაკლაოს შემოსავალი ქართული ბონების სიმტკიცისას, ძალიან საგრძნობლად იზრდება თებერვლიდან დაწყებული ოქტომბერში და ნოემბერში შემოდის 522—502 პრ. მეტი ვიდრე იანვარში ე. ი. შემოსავალი იზრდება 6-ჯერ.

| თვეები | გასავალი ათას. მან. | შეფ. პროც. |
|---|---|---|
| იანვარი | 453,170 | 100 |
| თებერვალი | 667,136 | 147,2 |
| მარტი | 1073,418 | 230,9 |
| აპრილი | 620,732 | 136,9 |
| მაისი | 776,087 | 173,5 |
| ივნისი | 1186,746 | 256,8 |
| ივლისი | 1463,603 | 323,0 |
| აგვისტო | 1582,710 | 1349,3 |
| სექტემბ. | 1588,119 | 350,4 |
| ოქტომბ. | 2633,801 | 581,2 |
| ნოემბერი | 2625,112 | 569,3 |

სულ 14,670,634

შემოსავლის გადიდებასთან პარალელურად იზრდებოდა გასავალი, საერთოდ სასაკლაო ფარავს ხარჯებს თავის სივე შემოსავლისაგან.

11 თვის განმავლობაში შტატს შესანახად დახარჯულია 4,548,013,346 მან. რაც შეადგენს მთელი შემოსავლის 30,8 პრ.

სასაკლაოსთან არსებობს შემდეგი წარმოებანი:

1. საპნის ქარხანა, რომელიც იძლევა ყოველ დღიურად 10 ფუთ კარგ ხარისხის საპონს, 2. ძეხვის ქარხანა, რომელიც იძლევა ყოველ დღიურად 5 ფ. ძეხვს, (წარმოება შეიძლება გადიდებულ იქმნას 30 ფუთამდე). 3. ყინვის დასამზადებელი ქარხანა იძლევა დღეში 500 ფუთ ყინვას. 5. საციებლები 101 კამერა, მუშაობა გაძლიერდება ქალ. ტრამვაის ხაზის სასაკლაომდე გაყვანისას. 5. საუტილიზაციო ქარხანა და სხ.

სასაკლაოს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წელს წარმოებულ იქმნა დიდი რემონტი, სახნლდობრ: შეკეთებულ იქმნა სახურავი, ჰოგრი (ლებედკა) გაუმჯობესებულ იქმნა წყლის მიწოდება სასაკლაოსადმი და სხვა.

# უმაღლესი სასწავლებლის დაარსება საქართველოში

I

წარსულ საუკუნის მესამოციან წლებში, ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, ახალმა სიომ დაბერა ჩვენს ცხოვრებაში. ამოძრავდა აზროვნება, დაიწყო ახალი ცხოვრება, დაიწყო პერიოდული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა..

უკვე მაშინათვე მოწინავე საზოგადოებამ იგრძნო უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საჭიროებაც საქართველოში. აშკარა შეიქმნა, რომ სხვა ნიადაგზე, უცხო ქვეყანაში აღზრდილი, ახალი თაობა ჩვენი სამშობლოსათვის გამოუსადეგარია. ცხადზე უცხადესი შეიქმნა, რომ უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს ეროვნულ კულტურის განვითარებას და ქართველი ხალხის გაძლიერებას, რაიც ქართველ ნაციას მოუპოვებს პატივს, სახელს და თანაგრძნობას განათლებულ კაცობრიობაში, ის ხელს შეუწყობს, რომ ქართველ ხალხმაც მეცნიერების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს,

მეფის მთავრობა, რომელიც არამც თუ „ინოროდცებზე“, არამედ თავის ხალხის განვითარებაზედაც არ ზრუნავდა რიგიანად, რასაკვირველია ასე ადვილად ნებას არ დართავდა ჩვენში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე.

თუმცა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა მრავალი ახალგაზრდობა და თითქოს მთავრობაც ამ გარემოებას ერთგვარ ყურადღებასაც კი აქცევდა და ჯერ მოსკოვში დააარსა 10 სტიპენდია ამიერ და იმიერ კავკასიის მოსწავლეთათვის, რომელთაც დასრულებული ჰქონდათ საშუალო სასწავლებელი.

1869 წელს კი უმაღლესი ბრძანებით ეს 10 სტიპენდია 125 იქმნა აყვანილი „კავკასიის აქეთა და იქითა ჰაბუკთა ღონისძიების გაადვილებისათვის უმაღლესი და სპეციალურ სწავლის მიღებისათვის“, რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში, უმთავრესად მოსკოვსა და პეტროგრადში. მათი გაგზავნა, თვალ-ყურის დევნება, დაბრუნება და სამსახურში გაწესება მინდობილი ჰქონდა მეფის მოადგილის უმთავრეს მმართველობაში სასწავლებელთა გამგეობის ნაწილის უწყებას. ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი ქართველი იგზავნებოდა ყოველ-წელს, ან რამდენმა ქართველმა ისარგებლა საზოგადოთ ამ ხანში ამ სტიპენდიებით, ან რამდენი მათგანი დარჩა საზოგადო მოღვაწე და გამოსადეგი თავის ქვეყნისათვის, სამწუხაროდ, ვერც ერთ მაშინდელ ქართულ და რუსულ გაზეთებში ვერ ვიპოვნეთ.

რომ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდათა საკმაო რიცხვი ლებულობდა სწავლას ჭეშმარიტია. (მაგ., 1872 წ. ტფილისში ერთ სასტუმროში იდღესასწაულეს პეტერბურგის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილე, ამ დღესასწაულზე დაესწრო 30-მდე ქართველი, რომელთაც მიეღოთ სწავლა მხოლოდ ამ უნივერსიტეტში „დროება“, № 6, 1872 წ.)

მაგრამ რამდენს ვნახულობთ ჩვენ მათ შორის სახალხო მოღვაწეს, ხალხისათვის თავდადებულს, ან საზოგადოთ რამდენი ღვაწლი მიუძღვით მათ თავის ქვეყნის წინაშე (რამოდენიმე ერთეულების გამოკლებით)?!

ამ ხალხის დახასიათება ერთი ჩვენი მიზანთაგანი, ამიტომ უმჯობესია თვით მაშინდელ გაზეთს „დროება“-ს, ამ იმ ანის სარკეს ცხოვრებისას, დავახასიათებიოთ ისინი: „ვინც*) კი ჩვენს ეგრედ წოდებული ნასწავლ კაცებს დაკვირვებია—და იცნობს უეჭველია, შენიშნავდა, რომ იმათში ძლიერ იშვიათად მოიპოება მართლაც ნამდვილად სწავლული და მეცნიერებაში განვითარებული პირები. მაგრამ რას ვამბოათ?

არა თუ მეცნიერებაში განვითარებულსა, ისეთ ქართველსაც ძნელად ნახავთ, რომელზედაც შეიძლებოდეს თქმა, რომ აი, ეს კაცი სწავლისაგან გონებითა დ ზნეობით „გაკეთილ-შობილებულია“ და ისე არა ცხოვრობს და მოქმედებს, როგორც დანარჩენი უმეცრებაში ჩავარდნილი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისაო.

მართლა, ბევრს ჩვენგანს რუსეთის სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში და აკადემიებში მიუღია სწავლა; ბევრს საუკეთესო პროფესორების ლექციები უსმენია; ერთის შეხედვით ბევრს ჩვენგანს გარემოება ხელს უწყობდა, რომ განათლებული, პატიოსანი და საზოგადოების გამოსადეგი და მის წარმატებაში წინ გამძღოლი წევრი შექმნილიყო, მაგრამ ნამდვილათ კი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ნასწავლთ რიცხვში თითქმის არც ერთი [არ მოიპოება ისეთი, რომელიც რითიმე ამტკიცებდეს ჩვენი საზოგადოების წინამძღვრობისა და წარმატების სურვილისა. წინაამდეგ ამისა, ჩვენი ნასწავლი კაცები ჩადგნენ გაუნათლებელ საზოგადოების წრეში და თავის სწავლას მხოლოდ იმაში ხმარობენ, რომ რაც შეიძლება მომეტებული საკვები შესძინონ თავიანთ მუცელს (იხ. „დროება“ № 22, 1872).

„რას სწავლობდნენ ისინი“ (განაგრძობს იგივე გაზეთი 1872 № 71) „რუსეთის სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში? რითი შველოდნენ ისინი შემდეგ თავიანთ აღმზრდელ სამშობლოს? რა სარგებლობა მოქონდა განათლებულ ახალ-გაზრდობას ჩვენი ქვეყნისათვის? ეს ამგვარი კითხვები იმდენჯერ აღძრულა ჩვენს საზოგადოებაში და ლიტერატურაში და იმათი პასუხი იმდენჯერ გარკვევით თქმულა, რომ ეხლა ხელ-ახლად ამაზე დაწერილებითი ლაპარაკი, უეჭველია მკითხველს თავს მოაბეზრებს? და ასე უპასუხებს დასმულ კითხვაზე წერილის ავტორი, რომ ისინი ან ჩინოვნიკებია, ან და სულ უბრალოდ, უსაქმოდ და უმიზნოთ დროის დამკარგველნი. ერთ ხერიან მეოჯახეს, მეურნეობის მცოდნესა, ერთს რომელისამე ნამუშევრის, ან სხვა რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ“. „ხე, რომელმაც არ გამოიღოს ნაყოფი კეთილი—მოიჭრას და ცეცხლსა ზედა დაიდვასო“, ამ საღმრთო წერილიდან ამოღებული ციტატით იწყებს მოწინავეს იგივე გაზეთი 1874 წ. № 92 და გულნატკენი, სიბრაზით აღვსილი ამბობს: „რისთვის სწევს ჩვენი სამშობლო ამდენ ხარჯს თავის შვილების გამოსაზრდელად? რომელი ზნეობითი, ან ნივთიერი მოსაზრებით ხელმძღვანელობს საზოგადოება, რომ უკანასკნელი თავის ღონისძიებისაგან ახალგაზრდობის განათლებას ანდომებს?! საინტერესოა რისთვის სდებს ხალხი ამდენს ღვაწლს ახალგაზრდობისათვის?..

მათ დღემდის ჩინოვნიკობის ასპარეზზედ თუ გამოუჩენია თავი, თორემ სხვაგან ჩვენ იმას ვერ ვხედავთ? რასაკვირველია, არა ჩინოვნიკობისათვის ზრდის და უმართავს ხელს ახალგაზრდობას საზოგადოება. არა, ქვეყანა მოელის თავის შვილებისაგან, რომ ის თუ დღეს არა, მომავალში მაინც მოუმზადებს მას ბედნიერ და ნათელ ცხოვრებას, ე. ი. ასწავლის ჩვენს ხალხს, თუ რა არის საჭირო, რომ მისმა ეკონომიურმა დ ზნეობრივმა მდგომარეობამ იმ ხარისხამდის მიაღწიოს, რომელზედაც ვანათლებულ ქვეყნებს ვხედავთ. ხალხი ფიქრობს, თუ წელს არა და მერმისულ არ მოიტანა ჩემმა დარგულმა ხემ ნაყოფი, შემდეგ ხომ კი უთუოდ გამოისხამს ხვავიანად და მით აღმიდგენს პირველი წლების ზარალსაო. სწორედ ამგვარი გრძნობა უნდა ქონდეს ჩვენს სამშობლოს, როდესაც ის შეთხელებულ ჯიბეს აგრე დიდ ძალ ხარჯებს ადებს და როდესაც ის არ ზოგავს თავის შვილების განათლებისათვის არავითარ ღონეს. მაგრამ შვილები ჯერ-ჯერობით გამოსადეგი არ არიან მისთვის. „წერილის ავტორი იქამდისაც კი მიდის, რომ ამბობს: „დააკლდება ვითომ რამე საქართველოს, რომ მოულოდნელი სასწაულით ერთ დღეს მთლათ გამქრალიყო ეს ჩვენი განათლებული(?) ახალგაზრდობა? ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს საოცარი შემთხვევა სრულიად უმნიშვნელო მოვლენათ იქნებოდა ჩვენი სამშობლოსათვის“.

(შემდეგი იქნება)

*) მართლ-წერა გაზეთ „დროებისაა“ დაცულია.

# მოსკოვის სამეურნეო აკადემია და ქართველი სტუდენტობა

(საკუთარი კორესპოდენტისაგან)

მოსკოვს რვა ვერსის დაშორებით ს. პეტროვკაში მოთავსებულია რუსეთში კარგათ ცნობილი პეტროვსკო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემია. აკადემიაში ომამდე ქართველები ბლომათ სწავლობდა და ღირსეული მუშაკნიც გამოვიდნენ: მათ აქ—პეტროვსკის კედლებში სიამოვნებით იხსენიებენ ხოლმე, როგორც ძველი სტუდენტობა, ისე პროფესორებიც. სხვათა შორის ერთ-ერთ ცნობილ და დღეს ღრმად მოხუცებულ პროფესორ ფორტუნატოვს მათი გვარი, სახელი მისამართიც კი ახსოვს ხოლმე.

ჯერ ომის და შემდეგ რევოლიუციის გამო აქ ქართველი ელემენტები აღარ მოიპოვება.

დღემდე ამ ხუთი წლის განმავლობაში აღნიშნულ აკადემიაში ქართველი სტუდენტის ხმა არ ისმოდა. მაგრამ სანამ დღევანდელ სტუდენტობაზე ვიტყოდე რამეს, საჭიროა მოკლეთ გავაცნო მკითხველს ისტორია ძველი ქართველი სტუდენტობისა პეტროვკაში.

მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში—მაშინ კი ინსტიტუტში პირველათ 1913 წ. დაარსდა ამიერ-კავკასიის წრე. ხოლო 1915 წ. თანახმად ... კავკასიის სტუდენტთა ... ვილისა შეერთებული ... მთლიან კავშირის წრეთ. წრე განაწილდა სექციებათ, რომელშიაც ქართული სექცია ერთ უძლიერეს სექციათ ითვლებოდა. ამ წრის სულის ჩამდგმელი იყო გ. რცხილაძე და ოზეროვი. წრეს ქონდა სამკითხველო, სადაც ოთხასამდე ქართული წიგნი თუ ჟურნალები იყო და ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას. იგზავნებოდა წრის წევრები საზაფხულო სამუშაოზე საცდელ მინდვრებში თუ ფერმებში, რომელნიც ვალდებული იყვნენ მუშაობის დასრულების შემდეგ ვრცელი მოხსენებით წარმდგარიყვნენ წრის წინაშე- მოხსენებას აკეთებდენ ჯერ თავიანთ სექციაში სამშობლო ენაზე, ხოლო თუ მოხსენება დასაბუთებული და ღირსეული გამოდგებოდა, შემდეგ კავკასიის წრეში რუსულათ. ერთი ასეთი სამუშაო მიენდო რცხილაძეს, გაიგზავნა საქართველოში სამუშაოთ. მოხსენება მისი ისეთი გამოდგა, რომ კავკასიის შეერთებულმა წრემ განიზრახა მისი ცალკე წიგნათ გამოცემა, მაგრამ ომმა ხელი შეუშალა და განუხორციელებელი დარჩა.

ამ ხანათ კოოპერატიულმა მოძრაობამ ფრთა გაშალა და კოოპერატივები მოედვა ქვეყანას. საჭირო იყო მათთვის მომზადებული მუშაკნი სახელმძღვანელოთ. აქ წრემ დაავალა რცხილაძეს კოოპერატიული მოძრაობის შესწავლა, რაც მან პირნათლათ შეასრულა და საჭირო ლიტერატურით გაემგზავრა საქართველოში სამუშაოთ.

ამას შემდეგ,—როგორც უკვე აღვნიშნე—ომისა და რევოლიუციის გამო ქართველ სტუდენტთა მუშაობა აღნიშნულ სასწავლებელში შესწყდა. კავკასიის წრე დაიშალა და სამკითხველო შეუერთდა აკადემიის სამკითხველოს.

1921 წ. განიზრახეს წრის აღდგენა. განახლდა წრე, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. აკოევი, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში ერთი საქმიანი კრებაც არ მოწვეულა (ვის მოიწვევდენ ვინც არ იყო!) წრემ ბუნებრივი სიკვდილით განუტევა სული. დღეს მოსკოვის სამეურნეო აკადებიაში 25 კავკასიელნი ვართ. განვიზრახეთ დროებით მიძინებული ლამპარის გაჩაღება და ამიერ კავკასიის წრის დაარსება, მაგრამ გადაგვეღობა სულთმობრძავი ორნახევარი წევრისაგან შემდგარი კავკ. წრე და მოინდომა ჩვენი მთლიან კავკასიის წრეში ჩაბმა.

მათის აზრით ამიერ-კავკასიის წრის დაარსება ნაციონალისტობა და შოვინისტობაა, რომელსაც ეხლა ადგილი არ უნდა ქონდეს; მაგრამ მათ დაუმტკიცეთ, რომ ამიერ-კავკასია, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, სამეურნეო კულტურით, ისე კლიმატიურათაც სრულიად განსხვავდება ჩრდილო კავკასიისაგან და ეს ყველა კი მოითხოვს, რათა ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმ ქვეყნის სამეურნეო კულტურას, საიდანაც წარმოგზავნილი ვართ. ეგ მოვალეობა გვეუბნება, რომ ის ცოდნა, რომელსაც ყოველი ჩვენგანი მიიღებს ამ აკადემიაში მივიტანოთ იმ ხალხთან, ვინც გამოგვგზავნა აი აქ, ამ სასწავლებელში. ამისათვის, თეორიული ცოდნით პრაქტიკაში ჰაერში ჩამოკიდებული, რომ არ დავრჩეთ, საჭიროა მეტი დაკვირვება და შესწავლა არა იმ ქვეყნის სამეურნეო კულტურის, სადაც ჩვენ მუშაობას არ ვაპირებთ, არამედ იმ ქვეყნის და ბუნების, რომელზედაც მიჯაჭვული ვართ.

ამის შემდეგ, ურწმუნო-თომანი მაინც ურწმუნონი დარჩნენ. და ჩვენ კი დავაარსეთ ამიერ-კავკასიის წრე.

28 დეკემბერს 1922 წ. წრემ საბოლაოთ დაამტკიცა წესდება და დაავალა ახლათ არჩეულ გამგეობას მისი ცხოვრებაში გატარება. წრეს აქვს წმინდა მეცნიერული მიზნები. შესწავლა ამიერ-კავკასიის სამეურნეო კულტურის. მიზანი ფრიად სიმპატიურია. ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილი მეურნეობა მოითხოვს მისი შვილებისაგან ასეთ მუშაობას და უსურვებ ახლათ დაარსებულ წრეს პეტროვსკო-რაზუმოვსკის აკადემიის კედლებში, ფრთა მაგრით გაშალოს და საჭირო ცოდნით აღჭურვილნი დაუბრუნდნენ თავიანთ მშრომელ ხალხს.

წრის გამგეობაში აირჩიეს: 1. მ. ალიევი, 2. შ. ხატიაშვილი, 3. გ. თუმანოვი.

სარევიზიო კომისია: 1. გოგორიშვილი, 2. რ. თუმანოვი, 3. არაქსი.

კორიძელი.

# მედიკ-სანიტ. მშრომელთა დარგში

**მე-20 საადგილკომო.**

მე-20 საადგილკომო შესდგება ორი აფთიაქის მუშა-მოსამსახურეთაგან. ეს აფთიაქები არიან მე-14 და მე-20 საბჭოთა აფთიაქები. ერთია თათრის მოედანში და მეორე ადელხანოვის ფაბრიკაში. 27 დეკემბერს (წასული წლის) მოხდა შეერთებული კრება ზემოხსენებულ საადგილკომოს. თავმჯდომარედ ერთხმად იქმნა არჩეული ამხ. კაპიტონ ბაქრაძე, მდივნად მირინოვი. დღიურ წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ხსენებულ აფთიაქების გამგეებისა, საზოგადოთ აფთიაქების მდგომარეობის შესახებ. 2) მოხსენება მედ-სან. პროფ-კავშირის კულტ-განყოფილების წარმომადგენლისა. 3) მოხსენება მუშათა კოოპერატივების შესახებ და 4) მიმდინარე საკითხები.

მე-14 აფთიაქის გამგის მოხსენება შეიცავდა შემდეგ მომენტებს: აფთიაქის საწარმოო მდგომარეობა, მისდამი საქონლის მიწოდება, მოთხოვნილების გადიდება, შემოსავლის გაზრდა, ძოსამსახურეთა კეთილსინიდისიერი მოპყრობა საქმისადმი. ყველა მომენტი გამგემ დადებითად დაახასიათა გარდა ერთისა, რომ წამლეულთა მიწოდება აფთიაქისადმი, ჯერ-ჯერობით ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული, ვინაიდან კერძო ბაზარზე შესაძენ წამლების შესყიდვა გვიანდება; გამგეებს არ ეძლევა სათანადო ინიციატივის გამოჩენის უფლება; საფარმაციო განყოფილების, კანცელიარული „ვალაკიტა“ საქმეს საგრძნობლად აგვიანებს და დაწესებულება კარგავს საყურადღებო შემოსავალსო. მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ შემოსავალი პროგრესიულად იზრდება და მოსამსახურენიც უმნიშვნელო გამონაკლისით კეთილსინიდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობასო. კრება ყურადღებით მოეპყრა გამგის თავდაუზოგავ შრომას, აფთიაქის შემოსავლის პროგრესიულ ზრდისათვის და მიიღო რეზოლიუცია მის დამაკმაყოფილებელ მოქმედების შესახებ.

მე-20 აფთიაქის გამგის მოხსენება, შეიცავდა მოსამსახურეებისადმი მადლობას და საფარმაციო განყოფილების მის აფთიაქისადმი გულციობას, წამლებისა და ჭურჭლეულობის მიწოდების მხრივ. ამ მოხსენებამ მწვავე კამათი გამოიწვია. მოსამსახურეები ჩიოდნენ კოლექტიურ ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე. მაგრამ რეზოლიუცია მაინც ლმობიერი გამოიტანეს.

შინაარსიანი მოხსენება იყო ამხ. ვერებეიჩიკოვისა კულტურულ მუშაობის გეგმის შესახებ. მომავალი გეგმა ფრიად მიზანშეწონილ ფორმაში წარმოუდგენია მომხსენებელს, რაც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს. ამ მხრივ ჩვენს საადგილკომოში დიდი შიმშილია და კრების ინტერესიც მის მოხსენებისადმი ბუნებრივი იყო. მაგრამ პრაქტიკულ შედეგებს ჯერ მაინც ვერ მოვესწარით, დღეს უკვე 9 იანვარია და გაზეთის ერთი ნომერიც არ მოგვსვლია. როგორც მომხსენებელმა გადმოგვცა კავშირის კულტ-განყოფილებას, ფული უკვე მიუღია სამეურნეო ორგანოსაგან და რაღა აბრკოლებს გაზეთების მიღებას მაინც აღარ ვიცით.

ჩვენი საადგილკომოს მოსამსახურენი შედარებით სხვებთან უფრო უხეირო პირობებში ვიმყოფებით. ქალაქის ცენტრის გასართობებს ჩვენ მოკლებული ვართ და არა მგონია, რომ დიდ მხიარულ გუნებაზე იქმნეს კავშირის კულტ-განყოფილების გამგე, რომ სახაზინო თეატრში სიარულის მაგივრად ორთაჭალაში იჯდეს და გაზეთის წაკითხვის საშვალებაც არ ექმნეს.

ამხ. ვერებეიჩიკოვი შეეხო კოოპერატივების მნიშვნელობას, ფერად სალებავებით დაგვიხატა მუშათა კოოპერატივების, მუშებისადმი დახმარება, შესაძლოება და პირიქით ჩვენი საჭირო გულმხურვალეობა მუშათა კოოპერაციისადმი. ჩვენც ვხედავთ, რომ მშრომელთა ხელისუფლების ერთ-ერთ დიდ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს, მუშათა კოოპერატივებისადმი ყურადღებით მოპყრობა.

წინაალმდეგ ყველა წესწყობილებისა, ეხლანდელი პოლიტიკური და ეკონომიური სტრუქტურა ფრიად ხელსაყრელია ამ დარგის ასაყვავებლად. ეს პრინციპი ჩვენი საადგილკომოს წევრთა უმეტესობის მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს, მაგრამ კრება პრაქტიკული ინტერესის მიხედვითაც მიუდგა ამ საკითხს და დაადგინა უკლებლივ ჩაეწერნონ კოოპერატივის წევრებად.

დასასრულ კრებამ აირჩია საადგილკომოს კორესპოდენტი და მომავლის იმედით დაიშალა.

**ძველი მემარცხენე.**

# ხელოვნება

**შალვა დადიანის იუბილე.** თებერვლის 3-ს, რუსთველის თეატრში, განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელოვნო კომიტეტის თაოსნობით, გაიმართება შალვა დადიანის იუბილე, მისი სამწერლო და სასცენო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ. იუბილეს დღეს წარმოდგენილი იქნება მისივე პიესები „გეგეჭკორი“— პირველი მოქმედება და „გუშინდელნი“ ორი პირველი მოქმედება, „გეგეჭკორს“ დადგამს კ. მარჯანიშვილი.

—

**ცოვიანოვის კონცერტი**

**სიმებიან კვარტეტის კონცერტი**

გ. წ. დეკემბრის დასასრულს სახელმწიფო II კონსერვატორიის დარბაზში შესდგა ცოვიანოვის მეორე კონცერტი. ჩვეულებისამებრ მან საინტერესო პროგრამა მოგვცა ბახის ჩაკონის გამოკლებით, რომლის გადაკეთება ვერ არის გამართლებული. შუმანის კონცერტი a-moll შესრულდა დიდი გატაცებით და ტეხნიკით. მხოლოდ ამ ნაწარმოებით შეიძლება დარწმუნდე, თუ შუმანი როგორი პიანისტი იყო. ეს კონცერტი გაცილებით ნაკლები ღირსების მქონეა ვიდრე შუმანის კონცერტი a moll. ჩინებულად შეასრულა ცოვიანოვმა ვიოლონჩელის კონცერტის სენ-სანსის.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გრიმელის სახელობის სიმებიანმა კვარტეტმა. კვარტეტის მონაწილენი თანდათან თანხმდებიან და სრულ ensemble-ს აღწევენ. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ასეთი კვარტეტი თბილისში იშვიათია მეკლენბურგ-სტრელიცკის კვარტეტის კონცერტის შემდეგ. საღამო მიეძღვნა გლაზუნოვს. მხატვრულად შესრულდა 4 და 5 კვარტეტი გლაზუნოვის a-moll და d-moll პროფესორ ზეილიგერმა შეასრულა გლაზუნოვის სონატის 2 და 3 ნაწილი.

**პ. ბებუთოვი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დეკრეტი**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. იანვრის „ 10 „

— ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის თაობაზე ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ ამა 1923 წლის იანვრის 10-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს დეკრეტი ამა 1923 წლის იანვრის 10 თარიღითა ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. სალარიძე:**

**დეკრეტი**

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ, რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოსი.

10 იანვარი 1923 წ.

ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ.

იმ მიზნით, რათა განმტკიცებულ იქნეს ეკონომიური მდგომარეობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა, რომელთაც შექმნეს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა და აგრეთვე, რათა გაადვილებულ იქნეს უკვე არსებული მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან, ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭო ადგენს:

1) შეიქმნას ერთი მთლიანი ფულის სისტემა მთლად ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ამა 1923 წლის იანვრის 10-დან, რისთვისაც გამოცემულ იქნეს სახმარებლად ერთიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანი.

2) ერთიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანი გამოცემულ იქნეს—1,000, 5,000, 10,000, 50,000, 100,000, 500,000, და 1,000,000 მანეთის კუპიურებად ქართული ფულის ნიშნის თანაბრობით: (პარიტეტობით) ერთი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნისა ეთანასწორება ერთ მანეთს ქართული ფულის ნიშნისას.

3) აზერბეიჯანის ფულის ნიშნების მიმართ—ერთი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნისა ეთანასწორება 100 მანეთს აზერბეიჯანის ფულის ნიშნებისას. ხოლო სომხეთის ფულის ნიშნების მიმართ—ერთი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნისა ეთანასწორება 150 მანეთს სომხეთის ფულის ნიშნისას; ამასთანავე ეს სალიკვიდაციო კურსი მიღებულ იქნეს უცვლელად მთელი გაცვლა-გამოცვლის პერიოდის განმავლობაში.

4) ამიერ-კავკასიის ერთიან ფულის ნიშანს მსვლელობა აქვს ყველგან მთლად ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე და მისი მიღება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის, საზოგადო ორგანიზაციებისათვის და კერძო პირთათვის.

5) ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის გამოცემის დღიდან,—ე. ი. 1923 წლის იანვრის 10-დან, მოისპოს დამოუკიდებელი ემისია საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

6) ადგილობრივი ფულის ნიშნები საქართველოსი, აზერბეიჯანისა და სომხეთისა დარჩება ხმარებაში მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის გამოცემის დღიდან, ე. ი. 1923 წლის მარტის 10-მდე (ამ რიცხვითურთ), რომელი ვადის განმავლობაშიაც ეს ფულის ნიშნები გამოცვლილ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე, ამ დეკრეტის მე 2 და 3 მუხლში აღნიშნული კურსის მიხედვით, ამიერ-კავკასიის მთავრობის ყველა კასებში, რ. ს. ფ. ს. რ. კანტორებში და განყოფილებებში და აგრეთვე რესპუბლიკების ადგილობრივ ბანკებში.

7) ადგილობრივი ფულის ნიშნები, რომელიც 1923 წლის მარტის 10-ს გამოუცვლელი დარჩება, ჰკარგავს ძალას და აღარ მიიღება სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ბანკების მიერ ფულის ბადლად და გამოსაცვლელად.

8) ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშანი უზრუნველყოფილია ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების ავლადიდებით და ყალბი ფულის გაკეთებისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წინაშე.

9) ამა დეკრეტის განხორციელება დაეკისროს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მიეცეს მას უფლება ამა დეკრეტის განვითარებისათვის გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

10) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმი:

**ნ. ნარიმანოვი.**

**ა. მიასნიკოვი.**

**შ. ელიავა.**

—

**დეკრეტი**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. იანვრის 10.

— ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების თაობაზე ამიერ-კავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ ამა 1923 წლის იანვრის 10-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის ამიერ-კავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1923 წლის იანვრის 10-ს გამოცემული დეკრეტი—ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. სალარიძე.**

—

**დეკრეტი.**

ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოსი.

1923 წ. იანვრის 10.

ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების ხმარებაში შემოღების შესახებ დღევანდელი თარიღით გამოცემული დეკრეტის დამატებად საკავშირო საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს დღიდან ამ დეკრეტის გამოქვეყნებისა მთავრობის ყველა დაწესებულებაში და სახელმწიფო საწარმოში, საზოგადო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების ტერიტორიაზე მთელი ანგარიშის წარმოება, აგრეთვე ხელშეკრულების დადება და ყოველგვარი მიმდინარე სავაჭრო გარიგება და გასწორება ახალ ერთიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით,

**შენიშვნა:** ზემო აღნიშნული გადასვლა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე სავალდებულოა ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებათათვის ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ამ რეფორმის განხორციელების დროს მიღებულ იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძველი ფულის ნიშნები.

2. 1923 წლის იანვრის 10-მდე დადებული და შესრულებული ყველა ხელშეკრულება დარჩება ძალაში ... ფულის ნიშნების ... ანგარიშის გასწორების ...

**შენიშვნა:** ფულის გაცვლისათვის დადებული ორი თვის ვადის გასვლის შემდეგ, იმ ხელშეკრულებისა და გარიგების ანგარიშის გასწორება, რომელიც დადებულია ადგილობრივ ფულის ნიშნების მიხედვით, სავალდებულოა მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

3. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარს ნება აქვს მისცეს სათანადო განმარტება დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათ ამა დეკრეტის შეფარდებისათვის.

ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე

**შ, ელიავა.**

ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს მდივნის მოადგილე

**ვ. ორლოვ-მოლოხოვი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

# ქალაქის აღმასკომი აცხადებს

1. უკანასკნელი ვადა სამოქალაქო გადასახადის შემოტანისა საურავ გადაუხდელათ არის ა. წ. 15 იანვარი.

2. 15 იანვრის შემდეგ ვადაზე 31 იანვრამდე გადასახადს დაემატება საურავი 25 პროც.

3. 31 იანვრის შემდეგ კი გადასახადი გადახდილი უნდა იქმნეს ორმაგი სახით და იმ კურსით, რომელიც მიღებული იქმნება სახალხო საფინანსო კომისარიატის მიერ.

4, მუშა-მოსამსახურეები ვალდებულნი არიან საჩქაროთ დაამთავრონ სპეციალური მოწმობების მიღება სათანადო პროფ-კავშირებიდან და შემოიტანონ გადასახადი 15 იანვრამდე. წინაალმდეგ შემთხვევაში გადაიხდიან საურავს და გადიდებულ გადასახადს, თანახმად ცენტრალურ აღმასკომის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე: **ლ. დუმბაძე.**

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის თავმჯდომარე: **გ. კიკნაძე.**

1—1 მდივანი: **გრ. ხუნდაძე.**

# განცხადება

## მუსლიმანთა სკოლების საალმშენებლო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ შემოწირულება სკოლის შენობის სასარგებლოდ მიიღება

**თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებაში ოთახი № 57;**

სკოლის სასარგებლოდ ფულს შეაგროვებენ აგრეთვე სხვა და სხვა პირნიც, რომელთაც ექმნებათ ამისთვის განსაკუთრებული მანდატი და სპეციალურად დაწზადებული ფულის შესაგროვებელი წიგნაკები.

საალმშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე **დ. რუხაძე.**

1—1 კომიტეტის მდივანი **ზ. კლიმიაშვილი.**

# ალმასკომის გადასახადთა ბიურო

**ამით აცხადებს, რომ კვირას, იანვრის 14-ს დღის 12 საათზე**

**დ ნ ი შ ნ უ ლ ა**

# საჯარო ვაჭრობა

## შემდეგ ბაკებზე

| | | |
|---|---|---|
| 1. | პოსტაიალის შესახვევი. | № 2 |
| 2. | „ „ | № 3 |
| 3. | დესიმონოვის მოედანი | № 25 |
| 4. | კახეთის ქ. | № 8 |
| 5. | ვარანცოვის ქ. | № 67 |
| 6. | დესიმონოვის მოედანი. | № 29 |
| 7. | პოდვოდნი შესახვევი | № 6 |
| 8. | ვარანცოვის ქ. | № 45 |
| 9. | კახეთის ქ. | № 6 |
| 10. | თუმანოვის ქ. | № 1 |
| 11. | 19 თებერვლის ქ. | № 89 |
| 12. | პოდვოდნის შესახვევი | № 5 |
| 13. | კახეთის ქ. | № 38 |
| 14. | დესიმონოვის მოედანი. | № 31 |
| 15. | კახეთის ქ. | № 12 |
| 16. | დესიმონოვის მოედანი. | № 23 |
| 17. | კახეთის ქ. | № 40 |
| 18. | ვარანცოვის ქ. | № 43 |
| 19. | „ „ | № 28 |
| 20. | „ „ | № 37 |
| 21. | სუფსარქისის ქ. | № 2 |
| 22. | ოლღას ქ. | № 27 |
| 23. | ჩერქეზიშვილის ქ. | № 44 |
| 24. | პოსტოიალი შეს. მელქო სადაღოვი. | |
| 25. | კახეთის ქ. | № 36 |
| 26. | თივის მოედანი | № 3 |
| 27. | საბურთალო. | |

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საიჯარო მაგიდის გამგესთან ოთახი № 50.

262 2—1

# დოკტორი გ. მეგრაბიანცი

**„უ. ასისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“**

**შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის— ელექტრონის წამლობის კაბინეთი.**

**იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.**

**№ 215** ბებუთოვის ქუჩა **№ 23.** **35**

ტირაჟი 1.000

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.